



საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის  
დასკვნა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის

საჯარო მმართველობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

III დონე

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი 15.-16. 01. 2026

02.02.2026

თბილისი

**ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>**

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204426834
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქრისტინ შახტნერი, რაინმანის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი, გერმანია
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ფარსადანიშვილი, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნოდარ ხერხეულიძე, შპს საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი მერაბიშვილი, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

<sup>1</sup> ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	საჯარო მმართველობა
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Public Administration
უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>	საჯარო მმართველობის დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მენეჯმენტი და ადმინისტრირება - 0413
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	46
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებულია, 24.06.2022 №781890
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (მაგ.: უცხო ენის ფლობის დონე, კვლევის თეზისი/პროექტი, შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად სადოქტორო ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა ახალი პროგრამაა. პროგრამის მიზნებია: საჯარო მმართველობის სფეროში შედეგზე ორიენტირებული კვლევისა და ახალი ცოდნის შექმნა, რომელიც არსებული საკითხების სიღრმისეულ სამეცნიერო ანალიზს დაეფუძნება; მაღალკვალიფიციური მკვლევრებისა და აკადემიური პერსონალის მომზადება საჯარო მმართველობის გამოწვევებზე აქცენტით; საჯარო მმართველობისა და საჯარო სამსახურის სფეროში კანონმდებლობის განვითარების ხელშეწყობა მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომების შექმნის გზით, რაც სრულად შეესაბამება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისიას. საჯარო მმართველობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა გრძელდება მინიმუმ 6 სემესტრი (3 წელი).

საჯარო მმართველობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტებისგან. სასწავლო ნაწილის მოცულობა შეადგენს 46 კრედიტს, რომელიც შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისგან. სავალდებულო კურსების კრედიტების საერთო რაოდენობაა 36 კრედიტი, არჩევითი კურსებისთვის კი 10 კრედიტი. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი მოიცავს სადოქტორო დისერტაციის დაწერას. სამეცნიერო-კვლევით კომპონენტზე მუშაობისას დოქტორანტი ასრულებს სამ კოლოქვიუმს, რაც ნიშნავს, რომ დისერტაციის ნაწილი იწერება სამეცნიერო ხელმძღვანელთან წინასწარი შეთანხმებით და მისი დაცვა ხდება დარგობრივი კომისიის წინაშე.

### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 1 აპრილის #341361 ბრძანებით შექმნილმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა 2026 წლის 15 და 16 იანვარს განახორციელა აკრედიტაციის ვიზიტი შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში, საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის შეფასების მიზნით. აკრედიტაციის ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უმაღლესი სასწავლებლის რექტორს, პრორექტორს, ფაკულტეტის დეკანს, პროგრამის დირექტორს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებსა და ბიბლიოთეკის წარმომადგენლებს.

უშუალოდ აკრედიტაციის ვიზიტის დროს შუალოდ შემოწმდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (ბიბლიოთეკა). ვიზიტის დროს გამართული შეხვედრები და პროგრამასთან ერთად წარმოდგენილი თანდართული დოკუმენტების შესწავლა საკმარისი იყო ექსპერტთა ჯგუფისთვის პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.

### ▪ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სტანდარტი 4 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, სტანდარტი 2, 3 და 5 ასევე შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

### ▪ რეკომენდაციები

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- რეკომენდებულია, კვლევის შედეგების ჩართვა, რომლებიც განსაზღვრავს გამოყენებითი საჯარო მმართველობის კვლევის მახასიათებლებს, საჯარო მმართველობის გამოყენებითი ბუნების გათვალისწინებით.

○ რეკომენდებულია, ისეთი სწავლის შედეგების გათვალისწინება, რაც უკავშირება უფრო ფართო საექსპერტო ცოდნას.

#### 4.1 ადამიანური რესურსები

- რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა კიდევ უფრო გაზარდოს საჯარო მმართველობის სფეროში ადგილობრივი დოქტორის ხარისხის მქონე პირების აკადემიურ პერსონალად ჩართვა.

### ▪ რჩევები

#### 1.1 პროგრამის მიზნები

- პროგრამის ღირებულების გაზრდის მიზნით, სასურველია, პროგრამის მიზნებში ხაზი გაესვას კვლევასა და მის რეალურ გარემოში გამოყენებას შორის კავშირს, ასევე, დოქტორანტების საერთაშორისო კარიერისთვის მომზადებას.

- საერთაშორისო სამეცნიერო რეიტინგები მისასაღმებელია, თუმცა, სასურველია, პროგრამის პოზიციონირების კიდევ უფრო გაფართოება, რათა სამომავლოდ, საერთაშორისო დონეზე, პროგრამა უფრო მოთხოვნადი გახდეს.

#### 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

○ სასურველია, პროგრამამ სისტემურად დანერგოს კოლეგიური ურთიერთშეფასების მექანიზმები სწავლების, მონიტორინგისა და კვლევის კომპონენტებში უწყვეტი ოპტიმიზაციის უზრუნველსაყოფად.

#### 1.5 აკადემიური კურსი/საგანი

- სასურველია, საჯარო მმართველობის აკადემიური განათლების არმქონე სტუდენტებისთვის სავალდებულო საჯარო მმართველობის საფუძვლების მოდულის დამატება, რომელიც მოიცავს საჯარო მმართველობის ძირითად თეორიებს, მმართველობის სისტემებს, პოლიტიკის ანალიზსა და შეფასებას. ეს უზრუნველყოფს, რომ ყველა კურსდამთავრებულს ექნება მოცემულ დარგში სისტემური ცოდნა, რაც მათ ჩამოაყალიბებს საჯარო მმართველობის ექსპერტად და არა მხოლოდ საჯარო მმართველობის თემებზე მომუშავე მკვლევრებად.

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამემსრულებლო და ტრანსფერაბელური (უნივერსალური - transferable) უნარების განვითარება

ი სასურველია, პროგრამამ გააფართოვოს თავისი ფორმალური პარტნიორობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიღმა და მოიცვას საერთაშორისო საჯარო პოლიტიკის ინსტიტუტები, ანალიტიკური ცენტრები და საჯარო მმართველობის სფეროში მოქმედი არაკომერციული ორგანიზაციები. ასეთი თანამშრომლობა დოქტორანტებს სტრუქტურირებულ შესაძლებლობებს მისცემს, მონაწილეობა მიიღონ გამოყენებით კვლევებსა და პრაქტიკულ პროექტებში, ეფექტურად დააკავშირონ აკადემიური სწავლება რეალურ პროფესიულ პრაქტიკასთან.

ი სასურველია, ცენტრალური და ადმოსავლეთ ევროპის საჯარო მმართველობის ინსტიტუტებისა და სკოლების ქსელში (NISPAcee) გაწევრიანება, ასევე, სხვა ცნობილ საერთაშორისო ქსელებში, როგორცაა EGPA ან NASPAA. ეს სტრატეგიული ნაბიჯი გაზრდის აკადემიური გაცვლის მასშტაბს, გააძლიერებს კვლევის ხარისხს და პუბლიკაციების რაოდენობას და გააფართოვებს საერთაშორისო კარიერულ პერსპექტივებს როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პროფესორ-მასწავლებლებისთვის.

- საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, მაგალითად:

<b>დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები</b>				
სადოქტორო დისერტაციების რაოდენობა		22		
დოქტორანტების რაოდენობა		12		
სადოქტორო დისერტაციების ხელმძღვანელების/დოქტორანტების თანაფარდობა		22/12		
<b>პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, საერთაშორისო და მოწვეული პერსონალი)</b>	<b>პროგრამის პერსონალის რაოდენობა</b>	<b>მათ შორის დარგობრივი ექსპერტიზის მქონე პერსონალი</b>	<b>მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი</b>	<b>მათ შორის აფილირებული პერსონალი</b>
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	35	21	10	16

- პროფესორი	6	4	-	6
- ასოცირებული პროფესორი	10	7	1	10
- ასისტენტ-პროფესორი	1	1	-	1
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	9	9	-	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	-
მათ შორის საერთაშორისო პერსონალი	9	-	9	-

- თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.
- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)<sup>3</sup>
- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე
  - 4.4 – მატერიალური რესურსი

ვეთანხმებით რეკომენდაციას 4.4 მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით. უნივერსიტეტი კვლავ შეინარჩუნებს და კიდევ უფრო განამტკიცებს წვდომას საჯარო მმართველობის სფეროს შესაბამის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებზე. ამასთან, აღნიშნული რესურსი მკაფიოდ იქნება ხელმისაწვდომი სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის.

- ყველა სხვა შენიშვნა გუნდისთვის არ არის მისაღები, რადგან ისინი ან უკვე სათანადოდ არის ასახული პროგრამაში, ეფუძნება მცდარ ფაქტობრივ დაშვებას, ან არ შეესაბამება სადოქტორო განათლების არსსა და მიზნებს.
- 1.2 – პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

რეკომენდაცია სწავლის შედეგში საჯარო მმართველობის გამოყენებითი კვლევის მახასიათებლების დამატების შესახებ არ არის გაზიარებული. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები უკვე ნათლად ასახავს გამოყენებითი კვლევის განზომილებას ისეთი ფორმულირებების მეშვეობით, როგორცაა შედეგზე ორიენტირებული კვლევა, ახალი ცოდნის შექმნა და საჯარო მმართველობის პრაქტიკასა და თეორიაში არსებული აქტუალური საკითხების კრიტიკული ანალიზი. გარდა ამისა, სწავლის შედეგები ცალსახად მიუთითებს აქტუალური საკითხების იდენტიფიცირებაზე, კვლევის შესაბამისი მეთოდების შერჩევასა და ორიგინალური და სიღრმისეული დასკვნების

<sup>3</sup> პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

შემუშავებაზე, რაც თავისთავად მოიცავს ისეთ გამოყენებით კომპეტენციებს, როგორცაა პოლიტიკის ანალიზი და პოლიტიკის შეფასება.

- რეკომენდაცია საჯარო მმართველობის ფართო სფეროში ექსპერტიზის აღმწერი სწავლის შედეგის დამატების შესახებ არ არის გაზიარებული. სადოქტორო საფეხურის უპირატესი დანიშნულებაა კვლევითი კომპეტენციისა და ახალი ცოდნის შექმნა და არა ფართო საბაზისო ცოდნის შექმნა, რაც უფრო მეტად ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურების განათლებისთვის არის დამახასიათებელი. გარდა ამისა, პროგრამა, საჭიროების შემთხვევაში, ითვალისწინებს ცოდნის მიზნობრივ გაღრმავებას სავალდებულო კურსების მეშვეობით, პროგრამის ხელმძღვანელისა და სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, პროგრამა არ არის ორიენტირებული სისტემური ზოგადი ცოდნის მიცემაზე, რასაც არც სადოქტორო საფეხური მოითხოვს.

#### ▪ სტანდარტი 4.1 – ადამიანური რესურსი

რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ უნივერსიტეტმა კიდევ უფრო უნდა გაზარდოს საჯარო მმართველობის სფეროში ადგილობრივი დოქტორის ხარისხის მქონე პირების აკადემიურ პერსონალად ჩართულობა არ არის გაზიარებული. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულ პროგრამებს მხოლოდ მცირე რაოდენობის უნივერსიტეტები ახორციელებდნენ, საქართველოში საჯარო მმართველობის დოქტორის ხარისხის მქონე პირთა რაოდენობა შეზღუდულია. გარდა ამისა, საჯარო მმართველობის ინტერდისციპლინური ბუნება იძლევა მომიჯნავე სფეროებიდან აკადემიური პერსონალის ჩართვის შესაძლებლობას, ხოლო კვლევების თანახემდღვანელობა რეგულარულად გამოყენებადი პრაქტიკაა. სადისერტაციო პროცესში ასევე ჩართულნი არიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე გარე რეცენზენტები და შემფასებლები. აქედან გამომდინარე, უშუალოდ საჯარო მმართველობის დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის რაოდენობის ზრდა არ წარმოადგენს პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის წინაპირობას.

### რჩევები

#### ▪ 1.1 – პროგრამის მიზნები

საჯარო მმართველობის სფეროსთვის სპეციფიკურ კვლევასა და მის პრაქტიკულ გამოყენებას შორის კავშირის, ასევე საერთაშორისო კარიერისთვის მომზადების უფრო მკაფიოდ ასახვის შესახებ რჩევა არ არის გაზიარებული. პროგრამის მიზანში უკვე ცალსახად არის აღნიშნული, რომ ის მიზნად ისახავს შედეგზე ორიენტირებულ კვლევასა და ახალი ცოდნის შექმნას, რაც ეფუძნება საჯარო მმართველობის პრაქტიკასა და თეორიაში არსებული აქტუალური საკითხების სიღრმისეულ სამეცნიერო ანალიზს. აღნიშნული ფორმულირება უკვე ასახავს კავშირს კვლევასა და პრაქტიკულ გამოყენებას შორის. გარდა ამისა, პროგრამის დასაქმებისა და კარიერული ზრდის ჩარჩო უკვე ითვალისწინებს პოსტადოქტორო პროგრამებში მონაწილეობასა და წვდომას ეროვნულ და საერთაშორისო კვლევით და სწავლების შესაძლებლობებზე.

- პროგრამის პოზიციონირების გაფართოების შესახებ რჩევა, რომ ის უფრო ფართო საერთაშორისო სამიზნე ჯგუფებისთვის იყოს მიმზიდველი, არ არის გაზიარებული. არსებული ფორმულირება უკვე უსვამს ხაზს პროგრამის კვლევით ორიენტაციასა და

მის შესაბამისობას საერთაშორისო აკადემიურ სტანდარტებთან. ასევე არ არის გაზიარებული შენიშვნა იმის შესახებ, რომ კვლევასა და პრაქტიკულ გამოყენებას შორის უფრო მკაფიო კავშირი გაზრდიდა პროგრამის ღირებულებას, ვინაიდან აღნიშნული კავშირი უკვე ინტეგრირებულია თავად პროგრამის მიზანში.

▪ **1.3 – პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი**

სწავლების, მონიტორინგისა და კვლევით კომპონენტებში კოლეგიური შეფასების მექანიზმების სისტემურად დანერგვის შესახებ რჩევა არ არის გაზიარებული, რადგან უნივერსიტეტი უკვე იყენებს კოლეგიურ განვითარების შეფასებას საქართველოს და/ან საერთაშორისო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კოლეგების მონაწილეობით, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ნაწილს. აღნიშნული მექანიზმი უკვე მოქმედებს და ხელს უწყობს პროგრამის უწყვეტ განვითარებას. სამომავლოდ, პერიოდულობასთან ან ინტენსივობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება შესაძლოა განხილულ იქნას პროგრამის საჭიროებების შესაბამისად.

▪ **1.5 – სასწავლო კურსი/საგანი**

საჯარო მმართველობის მიმართულებით გამოცდილების არმქონე სტუდენტებისთვის სავალდებულო საბაზისო მოდულის დანერგვის შესახებ რჩევა არ არის გაზიარებული. სადოქტორო განათლება ძირითადად კვლევაზეა ორიენტირებული და არ არის გათვლილი დარგობრივი საბაზისო განათლების ფუნქციის დუბლირებაზე, რაც ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურებისთვის არის დამახასიათებელი. უფრო მეტიც, პროგრამა უკვე ითვალისწინებს საჭიროების შემთხვევაში სხვა საუნივერსიტეტო პროგრამებიდან შესაბამისი კურსების მიზნობრივად გავლას. გარდა ამისა, აღნიშნული საკითხი უკვე დაფარულია 1.2 რეკომენდაციის ფარგლებში გამოთქმული შენიშვნებით.

▪ **2.2 – პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფარგლებს მიღმა, საერთაშორისო პოლიტიკის ინსტიტუტების, ანალიტიკური ცენტრების და არასამეწარმეო ორგანიზაციების ჩართვით ფორმალური პარტნიორობების გაფართოების შესახებ რჩევა მიღებულია. უნივერსიტეტი გააგრძელებს მუშაობას აღნიშნულ რეკომენდაციაზე პროგრამის უწყვეტი განვითარების ფარგლებში.

▪ გაზიარებულია რჩევა NISPAcee-ში ინსტიტუციური გაწვევრიანებისა და სხვა საერთაშორისო ქსელებში (მაგალითად, EGPA ან NASPAA) ჩართვის შესახებ. უნივერსიტეტი გააგრძელებს მუშაობას აღნიშნულ რეკომენდაციაზე პროგრამის უწყვეტი განვითარების ფარგლებში.

- ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.

წინა აკრედიტაციის პერიოდში (2022–2026), სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტს მნიშვნელოვანი მიღწევები ჰქონდა საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამასთან მიმართებით. კერძოდ, გაიზარდა ჩარიცხვის რაოდენობა - დოქტორანტების რაოდენობა სტაბილურად გაიზარდა, მათ შორის ხუთმა აქტიურმა სტუდენტმა დაიცვა სამი სავალდებულო კოლოქვიუმი და აჩვენა თანმიმდევრული კვლევითი შედეგები. მთავარ მიღწევებს შორის აღსანიშნავია საერთაშორისო პარტნიორული ურთიერთობების დამყარება, როგორცაა თანამშრომლობა სარაგოსას უნივერსიტეტთან და ცხრა ევროპულ ინსტიტუტთან, რითაც სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესი გახდა უფრო მრავალფეროვანი და გაიზარდა პუბლიკაციების რაოდენობაც - შედეგად, თითოეულ კანდიდატზე საერთაშორისო ინდექსირებულ ჟურნალებში მინიმუმ ერთი რეცენზირებული სტატია მოდის. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებამ, როგორცაა EBSCO-სა და HeinOnline-ის მონაცემთა ბაზებზე წვდომა StrikePlagiarism-თან ინტეგრაციასთან ერთად, გააძლიერა კვლევის კეთილსინდისიერება და რესურსები. წინა რეკომენდაციებთან მიმართებით, პროგრამამ სრულად დააკმაყოფილა სტრუქტურირებული სამეცნიერო ხელმძღვანელობის მოთხოვნები, დანერგა რა ხელმძღვანელს და სტუდენტს შორის 1:3 თანაფარდობა, მოხდა კონტრაქტების ფორმალირება და პერიოდული უკუკავშირი, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული გამოკითხვების შედეგად შეიქმნა კვლევის მეთოდოლოგიის ახალი კურსები. ამან კი უზრუნველყო პროგრამის სტანდარტებთან მნიშვნელოვანი შესაბამისობა.

### III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწამებელი ცხრილი

	აკრედიტაციის სტანდარტი	სადოქტორო ჩარჩოს სტანდარტი	შეფასება
1.	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	შესაბამისობაშია
1.1	პროგრამის მიზნები	1.1 მიზანი და სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	1.1 მიზანი და სწავლის შედეგები	მეტწილად შესაბამისობაშია
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	–	შესაბამისობაშია
1.4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	1.2 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი	შესაბამისობაშია
1.5	სასწავლო კურსი/საგანი	–	შესაბამისობაშია
2.	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	შესაბამისობაშია
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	1.3 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	–	შესაბამისობაშია
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	–	შესაბამისობაშია
2.4	სტუდენტების შეფასება	1.4 დოქტორანტის შეფასება	შესაბამისობაშია
3.	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	2. დოქტორანტთა მხარდამჭერი მექანიზმები და ხელმძღვანელობა	შესაბამისობაშია
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	2.1 დოქტორანტთა მხარდამჭერი სერვისები	შესაბამისობაშია
3.2	დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	2.2 დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხელმძღვანელობის განხორციელება	შესაბამისობაშია
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	3. რესურსები	შესაბამისობაშია
4.1	ადამიანური რესურსი	3.1 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალი	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.2	<u>დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია</u>	<u>3.2 სამეცნიერო ხელმძღვანელების კვალიფიკაცია</u>	შესაბამისობაშია
4.3	<u>აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება</u>	–	შესაბამისობაშია
4.4	<u>მატერიალური რესურსი</u>	<u>3.4 მატერიალური რესურსი</u>	შესაბამისობაშია
4.5	<u>პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა</u>	<u>3.3 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დაფინანსება</u>	შესაბამისობაშია
<b>5</b>	<b><u>სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები</u></b>	<b><u>4. ხარისხის უზრუნველყოფა</u></b>	<b>შესაბამისობაშია</b>
5.1	<u>შიდა ხარისხის შეფასება</u>	<u>4.1 შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფა</u>	შესაბამისობაშია
5.2	<u>გარე ხარისხის შეფასება</u>	–	შესაბამისობაშია
5.3	<u>პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</u>	–	შესაბამისობაშია

სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტით დადგენილი კრიტერიუმები გამოიყენება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან ერთად.

**სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები**

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო

სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტი

აკრედიტაციის სტანდარტებისა და დოქტორანტურის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისობა შეფასების კრიტერიუმები

**განმარტებები:**

**რეკომენდაციები** - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები** - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

## IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

##### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

##### სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ორიენტირებულია ახალი ცოდნის შექმნაზე ან/და არსებული ცოდნის განვითარებაზე, ცოდნის რეალიზებისა და გავრცელების ხელშეწყობაზე ორიგინალური, თანამედროვე და ინოვაციური კვლევების განხორციელებით;
- სახელოვნებო - შემოქმედებითი სფეროს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს საშემსრულებლო და/ან შემოქმედებით პრაქტიკაზე დაფუძნებულ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის მიზანია საერთაშორისო დონის ორიგინალური პროექტის შექმნა თანმხლები კვლევითი კომპონენტით, რომელშიც ნათლად ჩანს დოქტორანტის თვითმყოფადი შემოქმედებითი ხედვა, მაღალი დარგობრივი კომპეტენციები და შემოქმედებითი კვლევის შედეგად მიღებული ახალი ცოდნა;
- სადოქტორო პროგრამის მიზანია კვლევითი უნარების გაღრმავების გზით ხელი შეუწყოს დოქტორანტების მომზადებას დამოუკიდებელი კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობისთვის, ასევე, საკვლევი თემატიკის გათვალისწინებით, ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით თანამშრომლობას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს/ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი კვლევის საქმიანობის განხორციელების სტრატეგიას.

##### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და ხელმისაწვდომია პროგრამის დოკუმენტაციისა და უნივერსიტეტის ვებგვერდის მეშვეობით. პროგრამის სამი მიზანია: ა) შედეგებზე ორიენტირებული კვლევისა და ახალი ცოდნის შექმნა ბ) მაღალკვალიფიციური მკვლევარების მომზადება და გ) საჯარო ადმინისტრირების განვითარებაში წვლილის შეტანა, მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომების მეშვეობით. ეს მიზნები კარგად შეესაბამება სადოქტორო პროგრამის ინდიკატორებს, რადგან ისინი ხელს უწყობენ კვლევითი უნარების განვითარებას, მაღალი ხარისხის ნაშრომებისა და ახალი ცოდნის შექმნას. პროგრამის სწავლის შედეგები ორიენტირებულია კვლევითი პრობლემების დამოუკიდებლად იდენტიფიცირებაზე, დამოუკიდებელ კრიტიკულ ანალიზზე და ორიგინალური აკადემიური ნაშრომების შექმნაზე. პროგრამის სტრუქტურით, სამი კოლოქვიუმის შეთავაზებით,

უზრუნველყოფილია აკადემიური დამოუკიდებლობა - სწავლის პროცესი საკურსო ნაშრომებიდან დამოუკიდებელ კვლევაში გადადის. პროგრამის მიზნები ასევე რეალისტურია; თუ გავითვალისწინებთ 6 სემესტრზე გათვლილ 49 ECTS კრედიტიან სტრუქტურას და კვლევის კომპონენტს, რომელიც მოითხოვს სამი კოლოქვიუმის დაცვას საბოლოო დისერტაციის წარდგენამდე. პროგრამის მიზნები მიღწევადია; სადოქტორო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილია კვლევის მეთოდების, აკადემიური წერის კურსები და სპეციალიზებული სემინარები.

სადოქტორო პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით = სტრატეგიას, როგორც ეს გათვალისწინებულია უნივერსიტეტის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიხედვით. ასევე, პროგრამის მიზნები შეესაბამება სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მისიას, პრიორიტეტს ანიჭებს საჯარო მმართველობის სფეროში არსებულ აქტუალურ პრობლემებზე კვლევას და მაღალკვალიფიციურ მკვლევრებსა და აკადემიური პერსონალის მომზადებას, მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომების შესაქმნელად.

პროგრამის მიზნები ასევე ითვალისწინებს სადოქტორო პროგრამის (მე-8 საფეხური) მახასიათებლებს, ხაზს უსვამენ რა კვლევას, ახალი ცოდნის შექმნას და დამოუკიდებელი სამეცნიერო საქმიანობისთვის მომზადებას. მიუხედავად იმისა, პროგრამის მიზნებში ხაზგასმულია საჯარო მმართველობის სფერო, შესაძლებელია, მეტად მკაფიოდ იქნას ხაზგასმული ამ სფეროსთვის დამახასიათებელი თავისებურებები, რაც გულისხმობს კავშირს თეორიასა და პრაქტიკას შორის, მაგალითად, პოლიტიკის ანალიზი, პოლიტიკის შეფასება, შეფასებითი კვლევა და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ხაზს უსვამს პროგრამის წვლილს მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომების შექმნის მხრივ, ისინი არ ითვალისწინებს გამოყენებით კვლევით კომპეტენციებს, როგორცაა პოლიტიკის შეფასება, პოლიტიკის ანალიზი, პოლიტიკის გავლენის შეფასება ან სხვა განზომილებები. დამსაქმებლისთვის, იქნება ეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სამთავრობო სტრუქტურა, საერთაშორისო თუ ანალიტიკური ორგანიზაციები, კვლევასა და პრაქტიკულ გამოყენებას შორის უფრო მკაფიო კავშირი შემოთავაზებულ პროგრამას მეტად ფასეულს გახდიდა.

შრომის ბაზრის მოთხოვნების მხრივ, წარმოდგენილი იქნა შრომის ბაზრის ანალიზის დოკუმენტი, რომელიც ძირითადად ეფუძნება ადგილობრივი და საერთაშორისო უმაღლესი სასწავლებლების სამაგიდო კვლევას და საქართველოს უნივერსიტეტების საჯარო მმართველობის დეპარტამენტის წარმომადგენლების მონაწილეობით ჩატარებულ ორ ფოკუს-ჯგუფს. წარმოდგენილი იქნა არგუმენტი, რომ რადგან 2018-2025 წლებში, საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამებზე მოთხოვნა გაიზარდა, შესაბამისად, მოთხოვნა იზრდება დოქტორის ხარისხის მქონე პროფესიონალებზეც. ეს განაცხადი სამართლიანია, თუმცა შრომის ბაზრის ანალიზი უგულვებელყოფს სფეროს მნიშვნელოვან მოთამაშეებს და პოტენციურ დამსაქმებლებს, როგორცაა საერთაშორისო ანალიტიკური ცენტრები ან სხვა მრავალეროვნული ორგანიზაციები, არაკომერციული სექტორი და საჯარო სამსახური. ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ უმაღლეს სასწავლებლებზე, როგორც შრომის ბაზრის ერთადერთ მოთამაშეზე. გასაუბრებების დროს, დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ პროგრამის

კურსდამთავრებულების დასაქმებისას, მათ აქვთ მოლოდინი, რომ პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ მაღალი ხარისხის კვლევის ჩატარებას. ამით შეიძლება გამართლდეს პროგრამის ფოკუსირება კვლევაზე და არა საჯარო მმართველობის კვლევით უნარებზე, რაც მნიშვნელოვანია საერთაშორისო მასტაბით. პროგრამის მიზნების მორგება უფრო ფართო შრომის ბაზრის მოთხოვნებზე და არა ადგილობრივ უსდ-ებზე, ხელს შეუწყობს პროგრამის უკეთ პოზიციონირებას ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.

პროგრამის მიზნებში ირიბად იკითხება ინტერნაციონალიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ითვალისწინებს საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალში გამოქვეყნებას, თავად პროგრამის მიზნებში არ არის ხაზგასმული დოქტორანტის მომზადება საერთაშორისო კარიერისთვის, საერთაშორისო კვლევითი მიზნები ან საჯარო მმართველობის შედარებითი პერსპექტივები.

ინტერვიუებმა აჩვენა, რომ პროგრამის მიზნები ფართოდ არის გაზიარებული ყველა დაინტერესებულ მხარეს შორის, როგორცაა სტუდენტები, აკადემიური პერსონალი და პოტენციური დამსაქმებლები. პროგრამა, მისი მიზნების ჩათვლით, საჯაროდ ხელმისაწვდომია უსდ-ს ვებგვერდზე და გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებს შორის, როგორცაა სტუდენტები, აკადემიური პერსონალი და დამსაქმებლები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- o საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა
- o შრომის ბაზრის ანალიზი
- o დამსაქმებლებთან ინტერვიუ
- o სტუდენტებთან ინტერვიუ

**რეკომენდაციები**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- o პროგრამის ღირებულების გაზრდის მიზნით, სასურველია, პროგრამის მიზნებში ხაზი გაესვას კვლევასა და მის რეალურ გარემოში გამოყენებას შორის კავშირს, ასევე, დოქტორანტების საერთაშორისო კარიერისთვის მომზადებას.
- o საერთაშორისო სამეცნიერო რეიტინგები მისასაღმებელია, თუმცა, სასურველია, პროგრამის პოზიციონირების კიდევ უფრო გაფართოება, რათა სამომავლოდ, საერთაშორისო დონეზე, პროგრამა უფრო მოთხოვნადი გახდეს.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

### სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და შეესაბამება კვალიფიკაციის მე-8 დონის აღმწერს;
- სადოქტორო ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტის შედეგებს ადგილობრივ ან/და საერთაშორისო დონეზე აქვს სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებით - კვლევითი მნიშვნელობა, არის ინოვაციური და პრაქტიკული/თეორიული ღირებულების მქონე.

### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სწავლის ოთხი შედეგი ხაზს უსვამს თუ რას შეძლებს კურსდამთავრებული პროგრამის დასრულების შემდეგ:

(ა) ახდენს საჯარო მმართველობის აქტუალური საკითხების იდენტიფიცირებას, ადგენს მათი კვლევის საჭიროებას, არჩევს შესაბამისი კვლევის მეთოდებს და განსაზღვრავს მოსალოდნელ შედეგებს

(ბ) იკვლევს და კრიტიკულად აანალიზებს საჯარო მმართველობის პრობლემურ საკითხებს, შეიმუშავებს საკუთარ სტრატეგიულ, ორიგინალურ, ყოვლისმომცველ და სიღრმისეულ დასკვნებს

(გ) თანამედროვე და ინოვაციური სწავლების მეთოდების გამოყენებით გეგმავს და ატარებს ლექციებსა და სემინარებს, მონაწილეობს საჯარო მმართველობის სფეროში სამეცნიერო-კვლევით დისკუსიებში

(დ) ქმნის და აქვეყნებს მაღალი დონის აკადემიურ ნაშრომებს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით, იღებს პასუხისმგებლობას საკუთარი ხელმძღვანელობით ჩატარებულ კვლევებსა და მათ შედეგებზე.

ეს სწავლის შედეგები კარგად ესადაგება და ხელს უწყობს პროგრამის სამ მიზანს, რაც ასევე თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი „პროგრამის მიზნებისა და სასწავლო შედეგების რუკის“ სახით.

სწავლის შედეგები რეალისტურია და ასევე გაზომვადია, კვლევითი წინადადების ხარისხის, მეთოდოლოგიის შერჩევის მიდგომების, დისერტაციის ხარისხისა და რეცენზირებულ ჟურნალებში სავალდებულო პუბლიკაციების მეშვეობით. ისინი ასევე მიღწევადია სადოქტორო პროგრამის ვადებში, პროგრამის სტრუქტურის, სამი კოლოქვიუმისა და

დისერტაციის, ასევე პროფესიული ასისტენტობის კომპონენტის მეშვეობით. დისერტაციასა და შემოქმედებით კვლევით პროექტებს სამეცნიერო მნიშვნელობა აქვთ ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე, რადგან ისინი ავითარებენ საჯარო მმართველობის პრობლემებისადმი ინოვაციურ მიდგომებს და უზრუნველყოფენ თეორიულ და პრაქტიკულ ღირებულებას, რასაც ამყარებს პუბლიკაციის მოთხოვნები (3 სტატია, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა).

მიუხედავად იმისა, რომ სწავლის შედეგებში ცალსახად არის ნახსენები „საჯარო მმართველობა“, იქ ვერ ვხვდებით დარგის სპეციფიკურ ტერმინოლოგიას, რომელიც აჩვენებდა, თუ რა გამოარჩევს საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამას სხვა სფეროების სადოქტორო პროგრამებისგან. მიზნების მსგავსად, გაურკვეველი რჩება, თუ რა კვლევითი უნარებია უნიკალური საჯარო მმართველობისთვის და რით განსხვავდება ისინი მსგავსი სფეროებისგან, როგორცაა, მაგალითად, სოციალური მეცნიერებები ან ბიზნესის ადმინისტრირება. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი (შეშფოთება - concern) არის ის, რომ სწავლის შედეგები ვიწროდ არის ფოკუსირებული კვლევისა და სწავლების კომპეტენციებზე, და არ ასახავს საჯარო მმართველობაში მოაზრებულ უფრო ფართო ცოდნის ბაზას. ეს განსაკუთრებით პრობლემურია იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა არ მოითხოვს აპლიკანტებისგან საჯარო მმართველობის სფეროში აკადემიურ ბექგრაუნდს (ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხი). მიღება ეფუძნება მხოლოდ კვლევით წინადადებას და გასაუბრებას. მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი პროფესიული გამოცდილება გათვალისწინებულია მიღების პროცესში, არ არსებობს კონკრეტული გამოცდა ან ცოდნის ბაზის შეფასება, რათა ჩარიცხვამდე დადასტურდეს კანდიდატების ფუნდამენტური ცოდნა საჯარო მმართველობის კონცეფციების, თეორიების ან პრაქტიკის შესახებ.

ვინაიდან პროგრამის სასწავლო გეგმა არ მოიცავს სავალდებულო საჯარო მმართველობის კურსებს, რომლებიც უზრუნველყოფდა საჯარო მმართველობის სფეროში წინარე აკადემიური გამოცდილების არმქონე სტუდენტების მიერ დარგის შესახებ არსებითი ცოდნის მიღებას, იგი სთავაზობს მათ არჩევით საჯარო მმართველობის სამაგისტრო კურსებს ცოდნის ხარვეზების შესავსებად. ამგვარი მიდგომა არ იძლევა გარანტიას, რომ დოქტორანტებს ექნებათ სფეროს ყოვლისმომცველი, სისტემატური ცოდნა. შედეგად, სწავლის შედეგები ასევე არ ასახავს ამ ფართო ცოდნის ბაზას. აქ რისკი ის არის, რომ პროგრამამ შეიძლება მოამზადოს მაღალი ხარისხის მკვლევარები დარგის ძალიან ვიწრო სფეროებში, მაგრამ ამასთან მოამზადოს საჯარო მმართველობის დოქტორები, რომლებსაც არ გააჩნიათ საჯარო მმართველობის ფართო, სისტემატური გაგება, რაც უნდა განსაზღვრავდეს მათ სპეციალიზაციას.

სწავლის შედეგები ნაწილობრივ პასუხობს შრომის ბაზრის საჭიროებებს. ისინი თითქმის ექსკლუზიურად ფოკუსირებულია შრომის ბაზრის დასაქმების ერთ სეგმენტზე - უმაღლეს სასწავლებლებზე - და უგულებელყოფენ სხვა მნიშვნელოვან დამსაქმებლებს, როგორცაა პოლიტიკისა და მმართველობის პროფილის ანალიტიკური ცენტრები, საერთაშორისო და მრავალეროვნული ორგანიზაციები, განვითარების თანამშრომლობის სააგენტოები და შეფასების საკონსულტაციო კომპანიები.

ადგილზე ვიზიტის დროს, როდესაც პოტენციურ დამსაქმებლებს ჰკითხეს, თუ რას ელიან საჯარო მმართველობის დოქტორანტებისგან, მათ ხაზი გაუსვეს მაღალი ხარისხის კვლევით უნარებს. თუმცა, მხოლოდ კვლევითი უნარები არ არის უნიკალური საჯარო მმართველობისთვის, რადგან ძლიერი კვლევითი უნარების მქონე სოციოლოგსაც შეუძლია ადვილად შეასრულოს მსგავსი ფუნქციები. საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის განმასხვავებელი ნიშანი უნდა იყოს მოწინავე კვლევითი შესაძლებლობებისა და დარგის ღრმა, სისტემური ცოდნის კომბინაცია. ეს გამორჩეული კომბინაცია ამჟამად არ არსებობს სწავლის შედეგებში.

შედეგების შემუშავება არის თანამშრომლობითი პროცესი, რომელიც აღწერილია „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, ფორმულირებისა და შემუშავების მეთოდოლოგიასა და მისი დამტკიცების პროცედურაში“ და მასში სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და პოტენციური დამსაქმებლების ჩართულობა გადამოწმდა გასაუბრებების დროს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- o საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა
- o შრომის ბაზრის ანალიზი
- o დამსაქმებელთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუ

**რეკომენდაციები**

o რეკომენდებულია, კვლევის შედეგების ჩართვა, რომლებიც განსაზღვრავს გამოყენებითი საჯარო მმართველობის კვლევის მახასიათებლებს, საჯარო მმართველობის გამოყენებითი ბუნების გათვალისწინებით.

o რეკომენდებულია, ისეთი სწავლის შედეგების გათვალისწინება, რაც უკავშირება უფრო ფართო საექსპერტო ცოდნას.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
<b>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</b>	მეტწილად შესაბამისობაშია

**1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები**

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
  - პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
- 

### **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების (PLO) შეფასების მექანიზმები მკაფიოდ არის განსაზღვრული და შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს. შეფასების ციკლი მოიცავს პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრას, პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასებით შესაბამისი მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს და მიღებული შედეგების გამოყენებას პროგრამის გაუმჯობესებისთვის.

დოკუმენტი „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები და მათი გამოყენება“ პროცესს ორი ძირითადი მიდგომით აღწერს: სამიზნე ნიშნულების მიღწევის ანალიზი და სტუდენტის მოსწრების შეფასება. პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრის შემდეგ, იქმნება „პროგრამის სავალდებულო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა“, სადაც პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად გაწერილია თითოეული სავალდებულო კურსის წვლილი (მაგ., გაცნობა, გაღრმავება, პრაქტიკა, კონსოლიდაცია). თითოეულ კურსს აქვს კონკრეტული მიზნები; თუ მიზანი მიღწეულია, იგი ჩაითვლება გავლილად.

შეფასება ტარდება წლიურად, ბოლო წლის მონაცემები დარდება წინა წლის მონაცემებს. შესრულების ანგარიში ფარავს წინა წლის გეგმის შესრულებას, ხარისხის შეფასებებს, დევიაციის მიზეზებს (რომლებიც განისაზღვრება ფოკუს-ჯგუფებისა და გასაუბრებების მეშვეობით) და სადისერტაციო საბჭოს რეკომენდაციებს. პირდაპირი მეთოდები ეფუძნება ECTS კრედიტების რეიტინგებს (სამიზნე: 10% A, 25% B, 30% C, 25% D, 10% E); პროგრამის სწავლის შედეგების ჯამური შეფასებები კომპეტენციის რუკის მიხედვით. ირიბი მეთოდები გულისხმობს დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პერსონალი, დამსაქმებლები) გამოკითხვებს, რომლებიც სემესტრულად ტარდება. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საერთაშორისო ანალოგ საჯარო მმართველობის პროგრამების შედარებითი ანალიზი, პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფისა და შემდგომი განვითარების მიზნით.

დევიაცია ხდება საფუძველი სამიზნე მაჩვენებლების ან სწავლა-სწავლების მეთოდების მოდიფიკაციის. გამოკითხვის მონაცემების საფუძველზე, პროგრამის/სადოქტორო სკოლის დირექტორი შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომელთაც განიხილავს ხარისხის სამსახური და წარუდგენს აკადემიურ საბჭოს. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ქმნის სამოქმედო გეგმებს დაინტერესებულ მხარეებთან ერთად და განსაზღვრავს შესრულების ვადებს. მაგალითები: ტექნიკური მონაცემთა ბაზის გაუმჯობესება ან კურსების დამატება (რაოდენობრივი/თვისებრივი კვლევის მეთოდები) უკუკავშირის საფუძველზე.

დამხმარე დოკუმენტები წარმოდგენილია. PDCA ციკლი (დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-იმოქმედე), რაც უზრუნველყოფს უწყვეტ გაუმჯობესებას, დანერგილია.

მიუხედავად იმისა, რომ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები სტრუქტურირებული და ფუნქციონალურია, პროგრამა ჯერ კიდევ სისტემურად არ ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის კოლეგიალური ურთიერთშეფასების მექანიზმებს, მონიტორინგის პრაქტიკის, კვლევის დიზაინის მიმოხილვისა და კურსის შინაარსის შეფასებისთვის. კოლეგების მიერ სტრუქტურირებული კოლეგიალური აკადემიური შეფასების დანერგვა კიდევ უფრო გააძლიერებს რეფლექსიურ აკადემიურ კულტურას და პროგრამას ევროპულ საუკეთესო დოქტორანტურის პრაქტიკას გაუთანაბრებს. პროფესორებს შორის ურთიერთსწავლება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სწავლების პრაქტიკას ინოვაციური პედაგოგიური სტრატეგიებისა და საკლასო გამოცდილების გაცვლის გზით, რაც იწვევს უფრო ეფექტურ და სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას. კვლევაში ის ხელს უწყობს თანამშრომლობითი იდეების გენერირებას და პროფესორის წრეში კრიტიკული უკუკავშირის ციკლებს, აჩქარებს პროექტის შემუშავებას და აუმჯობესებს სამეცნიერო შედეგების ხარისხს. გარდა ამისა, ის ფასდაუდებელია კოლეგიალური კონსულტაციებისთვის, სადაც პროფესორებს შეუძლიათ გამოიყენონ კოლექტიური ცოდნა რთული გამოწვევების გადასაჭრელად, გადაწყვეტილების მიღების ოპტიმიზაციისთვის და მხარდამჭერი პროფესიული გარემოს შესაქმნელად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- o ხარისხის შესახებ დოკუმენტები,
- o კვლევის შედეგები,
- o პროგრამის სწავლის შედეგების რუკები, და
- o სადოქტორო პროგრამის დოკუმენტები
- o გარე შეფასების რეკომენდაციები

**რეკომენდაციები**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

o სასურველია, პროგრამამ სისტემურად დანერგოს კოლეგიური ურთიერთშეფასების მექანიზმები სწავლების, მონიტორინგისა და კვლევის კომპონენტებში უწყვეტი ოპტიმიზაციის უზრუნველსაყოფად.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია

**1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები**

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

---

### სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველს წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში კვლევითი პოტენციალი, შესაბამისი მიმართულებით წინარე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილების არსებობა, წარმატებული პრაქტიკა და კვლევის შედეგები;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს უსდ - ში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებას, დარგობრივი, სამეცნიერო ხასიათის თანამშრომლობის/ პროფესიული ქსელის ჩამოყალიბებას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი სწავლის სფეროს თავისებურებიდან გამომდინარე უზრუნველყოფს მეცნიერების/სფეროს, სახელმწიფოს ან/და საზოგადოების, ინტელექტუალურ, სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, ინდუსტრიულ ან/და სხვა სახის განვითარებას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი ტრანსფერული უნარების განვითარების გზით ან/და სფეროს აქტუალურ საკითხებზე/ტენდენციებზე დოქტორანტის მიერ ცოდნის გაღრმავებით ხელს უწყობს დოქტორანტის სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის სათანადო ხარისხით განხორციელებას. ასევე, იძლევა მეთოდოლოგიურ მითითებებს კვლევითი კომპონენტის სათანადო დაგეგმვისა და განხორციელებისათვის;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი განაპირობებს მნიშვნელოვანი ინოვაციური მიდგომების ჩამოყალიბებას, რომელიც საკვლევი სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით, ხელს შეუწყობს სამეცნიერო დარგებს შორის ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით თანამშრომლობის განვითარებას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს დოქტორანტებისთვის ისეთი კომპეტენციებისა და ტრანსფერული უნარების განვითარებას, როგორცაა, მაგალითად: კვლევითი-სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელება, გრანტების მოძიება და ადმინისტრირება, პროექტების მართვა, შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტის დაგეგმვა და განხორციელება, კვლევის შედეგების იმპლემენტაციის გზით ტექნოლოგიურ ტრანსფერში ჩართულობა, ლიდერობა, ხელმძღვანელობა, კარიერის განვითარების დაგეგმვა, სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, მონაცემთა ანალიზი, სწავლება (პედაგოგიური უნარები), პოპულარულ სამეცნიერო ენაზე აზრის გადმოცემა და სხვა;
- უსდ - ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის ეფექტურად განხორციელებისათვის შემუშავებული აქვს: საკვლევი თემის შერჩევის, შეცვლის, სამეცნიერო-კვლევის კომპონენტის განხორციელების და წარდგენის მექანიზმი, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის კვლევის სფეროს/სფეროების შესაბამისად და დოქტორანტთა ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს დოქტორანტის მიერ სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის შესრულებას სათანადო დონეზე აკადემიური კეთილსინდისიერების მექანიზმების დაცვის გათვალისწინებით;
- დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევის გეგმა, ითვალისწინებს - კვლევის მიზანს, სადოქტორო ნაშრომის სტრუქტურის და კვლევის განხორციელების სავარაუდო განრიგს/გრაფიკს, კვლევის მეთოდოლოგიას და სხვა. კვლევის გეგმა მხარს უჭერს დოქტორანტის საკვლევი თემის შესაბამისად საქმიანობის წარმართვას და სადოქტორო ნაშრომის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში დასრულებას;
- უსდ-ში მოქმედებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეთიკის ნორმები, რომელიც ითვალისწინებს შესაბამის სფეროში მოქმედ კვლევის ეთიკის ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებს.

## საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა სრულად აკმაყოფილებს საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის აკრედიტაციის სტანდარტებს. ადგილზე ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე პროგრამის განხორციელება და პროგრამით დადგენილი მოთხოვნები შეიძლება დადებითად შეფასდეს. იგი შემუშავებულია უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, დიზაინისა და განვითარების შიდა მეთოდოლოგიის შესაბამისად და აქვს თანმიმდევრული, ლოგიკური სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის მიზნების მიღწევას. საჯარო მმართველობის დოქტორის მისანიჭებელი კვალიფიკაცია შინაარსისა და მიზნების თვალსაზრისით შეესაბამება პროგრამას. ასევე, აღსანიშნავია პროგრამაში არსებული საერთაშორისო მოკლევადიანი მობილობის შესაძლებლობა და შესაბამისად, ლექტორებს შორის ქსელური კავშირების დამყარება, ერთობლივი მენტორული პროგრამები და საერთაშორისო კონფერენციები. პროგრამა მიჰყვება სკოლის მიერ პროგრამის შემუშავების მეთოდოლოგიას, მათ შორის ქართული და საერთაშორისო ანალოგი სადოქტორო პროგრამების ანალიზს, როგორცაა ილინოისის უნივერსიტეტი ჩიკაგოში, ბოლონიის უნივერსიტეტი და ლეიდენის უნივერსიტეტი. სტრუქტურა მოიცავს 49 ECTS კრედიტს; სავალდებულო (39 ECTS) და არჩევით კურსებს (10 ECTS) სამი სემესტრის განმავლობაში, რასაც ემატება კვლევაზე ორიენტირებული კომპონენტი კრედიტების გარეშე, მათ შორის სამი სადისერტაციო კოლოქვიუმი. პროგრამის ფარგლებში ისეთი კურსები, როგორცაა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, აკადემიური წერა და თანამედროვე სწავლების მეთოდები, უზრუნველყოფს კვლევისა და აკადემიური სწავლების მიზნების მიღწევას.

### 1. სადოქტორო პროგრამის სპეციფიკური ინდიკატორები: კვლევითი პოტენციალი

პროგრამის განვითარება ეფუძნება უნივერსიტეტის კვლევით პოტენციალს, რომელიც ემყარება 20-წლიანი სწავლებისა და კვლევის გამოცდილებას, ასევე, ათობით მიმდინარე პროექტს (მაგ. მიგრაციაზე, კანონის უზენაესობაზე, განახლებაზე ენერჯიაზე). არსებობს სამეცნიერო აქტივობების მტკიცებულებები, როგორცაა პუბლიკაციები SCOPUS-ის ინდექსირებულ ჟურნალებში, კონფერენციებში მონაწილეობა და სამეცნიერო წიგნების წერა. პროგრამა აძლიერებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას მენტორობის, პუბლიკაციების წახალისებისა და ისეთ ინსტიტუტებთან თანამშრომლობის გზით, როგორცაა დანაშაულისა და სისხლის სამართლის ცენტრი.

### 2. განვითარება და უნარები

პროგრამა ხელს უწყობს სამეცნიერო თანამშრომლობას საერთაშორისო პარტნიორობის (Erasmus, ორმხრივი გაცვლები) და ქსელების მეშვეობით. პროგრამის შინაარსი ხელს უწყობს საჯარო მმართველობის სფეროს ინტელექტუალურ, სოციალურ და ტექნოლოგიურ განვითარებას, მაგალითად, საქართველოს მიმდინარე გამოწვევებზე პრაქტიკული კვლევის გზით. სწავლების კომპონენტი ავითარებს უნივერსალურ უნარებს, როგორცაა კვლევის დაგეგმვა, მონაცემთა ანალიზი, გრანტების მართვა და პედაგოგიური უნარები ისეთი

კურსების მეშვეობით, როგორცაა პროფესორის ასისტენტობა და კვლევითი სემინარი; იგი კვლევის მეთოდოლოგიურ რეკომენდაციებს იძლევა.

### 3. კვლევის კომპონენტი და ეთიკა

ინტერდისციპლინარული მიდგომები იქმნება არჩევითი საგნების (მაგ., უმაღლესი განათლების ფილოსოფია) და სხვა პროგრამებიდან დამატებითი კურსების მეშვეობით. ისეთი კომპეტენციები, როგორცაა პროექტის მენეჯმენტი (მართვა - management), ლიდერობა, კრიტიკული ანალიზი და ტექნოლოგიების გადაცემა, ვითარდება სავალდებულო კურსებისა და გამოქვეყნების ვალდებულებების (3 სტატია, საერთაშორისო კონფერენცია) შდეგად. თემის შერჩევის, მოდიფიკაციისა და კვლევის პრეზენტაციის მექანიზმები მოიცავს ხელმძღვანელის დამტკიცებას, ინდივიდუალურ გეგმებს (მიზანი, სტრუქტურა, გრაფიკი, მეთოდოლოგია) და კოლოქვიუმებს; ეს უზრუნველყოფს StrikePlagiarism.com-ის მეშვეობით აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვას. ეთიკური ნორმები შეესაბამება ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებს, ანტიპლაგიატურ წესებს და საჯარო დისერტაციების დაცვას, განსაკუთრებით ხელოვნური ინტელექტის გამოყენების დროს.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o ხარისხის შესახებ დოკუმენტები
- o სადოქტორო პროგრამის დოკუმენტები
- o გარე შეფასების რეკომენდაციები

#### რეკომენდაციები

#### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

#### შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია

### 1.5 სასწავლო კურსი/საგანი

#### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- 

### **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამაში ცალკეული კურსების შინაარსი, ასევე მინიჭებული ECTS კრედიტები (სულ 49 ECTS, რომელთაგან 39 სავალდებულო კურსია) უზრუნველყოფს კურსის სპეციფიკური სასწავლო მიზნების მიღწევას. ეს მიზნები პირდაპირ გამომდინარეობს პროგრამის მიზნებიდან და ხელს უწყობს ისეთი ძირითადი კომპეტენციების განვითარებას, როგორცაა კვლევის მეთოდოლოგია (მაგ. თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები), აკადემიური წერა (აკადემიური წერა და დისერტაციის სტრუქტურა) და პედაგოგიური უნარები (თანამედროვე სწავლების მეთოდები, პროფესორის ასისტენტობა).

ძირითადი საგნის კურსების სწავლის მიზნები და შინაარსი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პროგრამის საერთო სწავლის შედეგების მიღწევას, რომლებიც ეფუძნება ეროვნულ კვალიფიკაციის ჩარჩოს (მე-8 საფეხური) და მოიცავს ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობას/ავტონომიას. ინტერდისციპლინარულობის გამო საგნების დიაპაზონი ძალიან ფართოა და უნდა მოიცავდეს საჭიროებების ანალიზს, როგორც დარგის სპეციფიკური პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის მექანიზმს. პროგრამის სავალდებულო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების დეტალური რუკა თვალნათლივ ასახავს ლოგიკურ კავშირს, სადაც ისეთი კურსები, როგორცაა კვლევითი სემინარი, აღრმავებს კვლევისა და პრეზენტაციის უნარების განვითარებას, რითაც უზრუნველყოფს საჯარო მმართველობის დოქტორის კვალიფიკაციის მიღებას. პროგრამაში მისაღები მოთხოვნების პარალელურად მაგისტრატურის კურსებზე უფასო დასწრება მიზანშეწონილია.

მოდულის სახელმძღვანელოში (სილაბუსებში) მითითებული სასწავლო მასალები - მათ შორის, საერთაშორისო მონაცემთა ბაზებში არსებული თანამედროვე მონოგრაფიები, სტატიები და პირველადი ლიტერატურა - ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (ფიზიკურად და ელექტრონულად EBSCO-ს, HeinOnline-ის მეშვეობით) და სპეციალურად მორგებულია პროგრამის სწავლის მიზნების მიღწევაზე. ხარისხის მართვისა და უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს წყაროების შესაბამისობას, რომლებიც ეფუძნება უახლეს კვლევის შედეგებს და ამით უზრუნველყოფს აკრედიტაციის სტანდარტების განხორციელებას.

### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- o ხარისხის შესახებ დოკუმენტები
- o სადოქტორო პროგრამის დოკუმენტები
- o გარე შეფასების რეკომენდაციები

### **რეკომენდაციები**

## რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

o სასურველია, საჯარო მმართველობის აკადემიური განათლების არმქონე სტუდენტებისთვის სავალდებულო საჯარო მმართველობის საფუძვლების მოდულის დამატება, რომელიც მოიცავს საჯარო მმართველობის ძირითად თეორიებს, მმართველობის სისტემებს, პოლიტიკის ანალიზსა და შეფასებას. ეს უზრუნველყოფს, რომ ყველა კურსდამთავრებულს ექნება მოცემულ დარგში სისტემური ცოდნა, რაც მათ ჩამოაყალიბებს საჯარო მმართველობის ექსპერტად და არა მხოლოდ საჯარო მმართველობის თემებზე მომუშავე მკვლევრებად.

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

#### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

#### სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები საჯაროა, მოიცავს ინფორმაციას პროგრამის, მიღების ვადების და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, ინფორმაციას ხელმძღვანელების კვლევითი ინტერესების და დოქტორანტების მიერ კვლევის განხორციელებისათვის მხარდამჭერი და წახალისების მექანიზმების და სხვა ასპექტების შესახებ;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღება კანდიდატების გამოცდილებისა და შესაძლებლობების შეფასება, რაც სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებისათვის არის საჭირო;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებისას მხედველობაში მიიღება ასევე უსდ-ს/ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის სტრატეგია;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე უზრუნველყოფილია დოქტორანტთა მიღება კომისიური წესით;
- უსდ-ში განსაზღვრულია სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების პროცესში ჩართული კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის, საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების

წესი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამაზე დაშვების მსურველ პირთა შეფასებას-ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირი კომისიას უსდ-ში დადგენილი წესის შესაბამისად, წარუდგენს კვლევის/შემოქმედებითი კვლევის თეზისს/პროექტს. კანდიდატს, მოეთხოვება შესაბამის სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება. დადგენილი მოთხოვნები უნდა იძლეოდეს კანდიდატის კვლევითი უნარების შეფასების შესაძლებლობას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების დროს დგინდება უცხო ენის ფლობის დონე, რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით პროგრამაზე პირის მიერ ინგლისური ენის ცოდნას არანაკლებ B2 დონეზე ან ერთ-ერთი დასავლეთ ევროპული სხვა უცხოური ენის ცოდნას არანაკლებ B2 დონეზე და ინგლისურ ენის ცოდნას არანაკლებ B1 დონეზე;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტთა მიღება ხდება უსდ-ში არსებული ადამიანური, ფინანსური და კვლევითი რესურსების, მათ შორის დოქტორანტის ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობის გათვალისწინებით. ასევე, უსდ-ს მიერ მხედველობაში მიიღება პროგრამაზე ჩარიცხული დოქტორანტების სწავლის დროულად დასრულების მაჩვენებლების ანალიზის შედეგები.

### **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სადოქტორო პროგრამაზე მიღების მოთხოვნები საჯაროდ ხელმისაწვდომია და მოიცავს ინფორმაციას თავად პროგრამის, პროგრამაზე მიღების ვადების, საჭირო დოკუმენტაციის, პოტენციური ხელმძღვანელის კვლევითი ინტერესებისა და კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმების შესახებ.

მიღების პროცედურა გულისხმობს აპლიკანტების აკადემიური გამოცდილების, კვლევითი პოტენციალის, პროფესიული გამოცდილებისა და სადოქტორო პროგრამის წარმატებით დასრულებისთვის აუცილებელი კომპეტენციების შეფასებას. პროგრამაზე მიღების გადაწყვეტილება შეესაბამება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის სამეცნიერო-კვლევით სტრატეგიას. სადოქტორო პროგრამაზე მიღების მიზნით ინიშნება სპეციალური კომისია, რომლის შემადგენლობა, წევრთა შორის პასუხისმგებლობები და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები არის ობიექტური, სამართლიანი და გამჭვირვალე.

აპლიკანტებმა პროგრამაზე მიმღებ კომისიას უნდა წარუდგინოს კვლევითი პროექტი, ინსტიტუციური რეგულაციების შესაბამისად. გარდა ამისა, კანდიდატებმა უნდა აჩვენონ თავიანთი კვლევითი შესაძლებლობები, წარმოადგინონ გამოქვეყნებული პუბლიკაციები და/ან დაადასტურონ კვლევით პროექტებსა და აკადემიურ ღონისძიებებში მონაწილეობა და/ან შესაბამისი პროფესიული გამოცდილება.

პროგრამაზე მიღების დროს მოწმდება უცხო ენის ცოდნა. აპლიკანტებმა უნდა აჩვენონ ინგლისური ენის ან სხვა დასავლეთ ევროპული ენის (ფრანგული, გერმანული) B2 დონეზე ცოდნა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი ენა არ არის ინგლისური, ინგლისური ენის მინიმუმ B1 დონეზე ცოდნა, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით. სადოქტორო პროგრამაზე მიღება ხდება უსდ-ში არსებული ადამიანური, ფინანსური და კვლევითი რესურსების გათვალისწინებით, მათ შორის ხელმძღვანელისა და დოქტორანტების

რაოდენობრივი თანაფარდობის, ასევე, დოქტორანტების მიერ პროგრამის დროულად დასრულების მაჩვენებლების ინსტიტუციური ანალიზის გათვალისწინებით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- o საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა
- o თვითშეფასების ანგარიში
- o სადოქტორო პროგრამის დებულება
- o კრედიტების აღიარების წესი

**რეკომენდაციები**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია

**2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

**აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამა, ძირითადად, მიზნად ისახავს სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებას, რაც სტუდენტებისთვის აუცილებელია სადოქტორო დისერტაციის მომზადების დროს. პროგრამის მიდგომა, რომ განავითაროს სტუდენტთა კვლევითი უნარები ნათლად დასტურდება ორი კვლევითი კურსის (თვისებრივი კვლევის მეთოდები და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები), აკადემიური წერისა და დისერტაციის არქიტექტონიკის კურსების და კვლევითი სემინარის კომპონენტის შეთავაზებით. პროგრამის სამკოლოქვიუმინი სტრუქტურა და კვალიფიციური ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს დამოუკიდებელი კვლევითი შესაძლებლობების თანმიმდევრულ განვითარებას, ხოლო დისერტაცია საბოლოო ჯამში ადასტურებს ამ კომპეტენციებს. გარდა ამისა, სტუდენტებმა უნდა გამოაქვეყნონ სამი კვლევითი სტატია და მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო კონფერენციაში.

თუმცა, სასწავლო გეგმა მეტად აქცენტირებულია აკადემიური კვლევის მეთოდებზე და ნაკლებად ოიენტირებულია გამოყენებით კვლევაზე, როგორცაა პოლიტიკის მოკლე ანგარიშები, პოლიტიკის გავლენის შეფასებები ან საზოგადოებრივი პროგრამის შეფასებები, რაც ამ სფეროში დამსაქმებლებს ძალიან სჭირდებათ. მიუხედავად იმისა, რომ კურსდამთავრებულებს აქვთ ძლიერი თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები, მათ

შეიძლება არ ჰქონდეთ კვლევის ჩატარების პრაქტიკული გამოცდილება, რეალური ცხოვრებისეული შეზღუდვებისა და ვადების პირობებში, რაც ასე ტიპურია სამთავრობო, არაკომერციული და საერთაშორისო ორგანიზაციებში დასაქმებულთათვის.

პროგრამის კვლევითი კომპონენტი კარგად არის ორგანიზებული, ლოგიკურად არის თანმიმდევრული - საბაზისო კურსიდან და სამი კოლოქვიუმიდან საბოლოო დისერტაციის დაცვამდე და შეესაბამება მისანიჭებელი კვალიფიკაციის დონეს. პროგრამის ფარგლებში, მეტი ყურადღება ეთმობა აკადემიურ ნაწილს და შეზღუდულია სტუდენტთა ჩართვა კვლევით საქმიანობაში უსდ-ს მიღმა, როგორცაა პროფესიულ გარემოში სტაჟირება, მაგალითად, ანალიტიკური ცენტრებში, არაკომერციულ ან საკონსულტაციო ორგანიზაციებში. უნივერსიტეტი აქტიურად უწყობს ხელს პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით პროექტებს და გასაუბრებების დროს, ასეთი რამდენიმე შემთხვევაც იქნა განხილული. თუმცა, ამ თანამშრომლობის ფორმატი ძირითადად აკადემიურია.

პრაქტიკული და უნივერსალური უნარების განვითარება ხდება ისეთი კომპონენტების მეშვეობით, როგორცაა თანამედროვე სწავლების მეთოდები და პროფესორის ასისტენტობა, სადაც პედაგოგიურ პრაქტიკას და შემოქმედებითი სწავლების მეთოდებს ასწავლიან. საერთაშორისო უმაღლეს სასწავლებლებთან თანამშრომლობა ხელს უწყობს კვლევით მობილობას და უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ სემინარებში მონაწილეობას, ხოლო მენტორობის პროგრამა მხარს უჭერს ერთობლივი პუბლიკაციების გამოქვეყნებას. ეს ელემენტები განაპირობებენ გადასვლას პროფესიულ კონტექსტებში, როგორცაა სწავლება და ადმინისტრაციული საქმე.

შემოქმედებითი და მმართველობითი უნარები, უპირველეს ყოვლისა, კვლევით კომპონენტებში ვითარდება, როცა სტუდენტები ორიგინალურ ანალიზსა და გადაწყვეტილებების შემუშავებაზე მუშაობენ. სემინარებისადმი შემოქმედებითი მიდგომა, პრეზენტაციის სავარჯიშოებთან და უკუკავშირთან ერთად, აძლიერებს პრაქტიკულ ასპექტებს. საერთაშორისო კონფერენციები და პუბლიკაციის ვალდებულებები შემოქმედებით საქმიანობის შემავსებელი კომპონენტებია და სწავლის შედეგებზეა მორგებული.

უნივერსიტეტმა რამდენიმე მემორანდუმი გააფორმა საერთაშორისო აკადემიურ დაწესებულებებთან, მათ შორის ევროპულ უნივერსიტეტებთან (მალტის უნივერსიტეტი, მარია კიური-სკლოდოვსკას უნივერსიტეტი, ოლომუცის პალაკის უნივერსიტეტი, სოფიის უნივერსიტეტი და ა.შ.) და სხვა საერთაშორისო პარტნიორებთან, რომლებიც ერთობლივ კვლევით პროექტებს, ფაკულტეტისა და სტუდენტების გაცვლას და თანამშრომლობით კვლევით საქმიანობას უზრუნველყოფენ. შეთანხმებები, ძირითადად, ხელს უწყობს აკადემიურ მობილობას და კვლევით თანამშრომლობას უნივერსიტეტებს შორის, მაგრამ არ შეიცავს დებულებებს საჯარო პოლიტიკის საკითხებზე მომუშავე ინსტიტუტებში პრაქტიკულ დასაქმებაზე ზედამხედველობის ქვეშ განხორციელებული სტაჟირების ან საჯარო მმართველობის რეალურ გამოწვევებზე ორიენტირებული თანამშრომლობითი გამოყენებითი კვლევითი პროექტების შესახებ. პროფესიულ ასოციაციებთან, როგორცაა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საჯარო ადმინისტრირების ინსტიტუტებისა და სკოლების ქსელი (NISPAcee), უფრო მჭიდრო კავშირების გათვალისწინებამ შესაძლოა გააფართოვოს თანამშრომლობა EAPAA-ს (საჯარო მმართველობის აკრედიტაციის ევროპული ასოციაციის) მიერ აკრედიტებულ საჯარო მმართველობის პროგრამებთან.

თუმცა, ჯერ კიდევ უნდა გაფართოვდეს თანამშრომლობა საერთაშორისო პოლიტიკის ინსტიტუტებთან, ანალიტიკურ ცენტრებთან და/ან სხვა არაკომერციულ ორგანიზაციებთან.

ეს ხელს შეუწყობს სადოქტორო დონის კომპეტენციების გამოყენებას, რაც თავისმხრივ განავითარებს ადმინისტრაციულ პრაქტიკას ამ სფეროში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- o საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა
- o ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები
- o ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან

**რეკომენდაციები**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

o სასურველია, პროგრამამ გააფართოვოს თავისი ფორმალური პარტნიორობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიღმა და მოიცვას საერთაშორისო საჯარო პოლიტიკის ინსტიტუტები, ანალიტიკური ცენტრები და საჯარო მმართველობის სფეროში მოქმედი არაკომერციული ორგანიზაციები. ასეთი თანამშრომლობა დოქტორანტებს სტრუქტურირებულ შესაძლებლობებს მისცემს, მონაწილეობა მიიღონ გამოყენებით კვლევებსა და პრაქტიკულ პროექტებში, ეფექტურად დააკავშირონ აკადემიური სწავლება რეალურ პროფესიულ პრაქტიკასთან.

o სასურველია, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საჯარო მმართველობის ინსტიტუტებისა და სკოლების ქსელში (NISPAcee) გაწევრიანება, ასევე, სხვა ცნობილ საერთაშორისო ქსელებში, როგორცაა EGPA ან NASPAA. ეს სტრატეგიული ნაბიჯი გაზრდის აკადემიური გაცვლის მასშტაბს, გააძლიერებს კვლევის ხარისხს და პუბლიკაციების რაოდენობას და გააფართოვებს საერთაშორისო კარიერულ პერსპექტივებს როგორც სტუდენტებისთვის, ასევე, პროფესორ-მასწავლებლებისთვის.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია

**2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები**

**აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები**

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დოქტორანტურის პროგრამა იყენებს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლების მეთოდებს, რომლებიც აკმაყოფილებს სადოქტორო პროგრამის დონის (მე-8 საფეხურის) მოთხოვნებს, შეესაბამება საგნის შინაარსს, სწავლის მიზნებსა და შედეგებს, ასევე მათ მიღწევას. მეთოდები ითვალისწინებს დოქტორანტების ინდივიდუალურ საჭიროებებს და ხელს უწყობს ჩართულობას, ასევე კვლევასთან და სწავლებასთან დაკავშირებული უნარების განვითარებას. კვლევის მეთოდოლოგიებში ორივე კურსი (თვისებრივი და რაოდენობრივი) აერთიანებს მეთოდოლოგიური საფუძვლების შესახებ ლექციებს პრაქტიკულ ნაბიჯ-ნაბიჯ სავარჯიშოებთან და “კეთებით სწავლების” მიდგომებთან. შექმნილი ცოდნის ამგვარი მყისიერი გამოყენება ეხმარება სტუდენტებს კვლევისა და მონაცემთა ანალიზის უნარების განვითარებაში. აკადემიური წერა იყენებს დისერტაციის იმიტაციის კომპონენტებს თანმიმდევრული პრაქტიკული სავარჯიშოების სახით. კვლევითი სემინარი იყენებს კოლოკვიუმის ფორმატს, რათა სტუდენტებმა წარმოადგინონ და დაიცვან კვლევა შესაბამისი საგნობრივი კომიტეტების წინაშე, ხოლო პროფესორის ასისტენტობა უზრუნველყოფს სწავლების გამოცდილებას ლექციებისა და სემინარების ზედამხედველობის ქვეშ ჩატარების გზით. ეს კომბინაცია კარგად ეხმარება ოთხი სწავლის შედეგის მიღწევას - ავითარებს უნარებს კვლევის დიზაინში, კრიტიკულ ანალიზში, სწავლების ჩატარებასა და აკადემიური ნაშრომების გამოქვეყნებაში.

პროგრამა აერთიანებს კლასიკურ და თანამედროვე მეთოდებს, როგორცაა დიალოგური ლექციები, სემინარები ყოველკვირეული პრეზენტაციებით, იდეების გენერირება, პრობლემებზე დაფუძნებული სწავლება და „კრეატიული სემინარის“ მიდგომა. გამოცდილი პროფესორები პრაქტიკულ ცოდნას დემონსტრაციის, უკუკავშირისა და „პრაქტიკული სწავლების“ მიდგომების მეშვეობით უზიარებენ ერთმანეთს, რათა მოახდინონ კრიტიკული აზროვნებისა და ორიგინალური პრობლემების გადაჭრის სტიმულირება და ამით უზრუნველყონ სასწავლო მიზნები. მიდგომების ეს მრავალფეროვნება სწავლის სხვადასხვა სტილთან მოქნილი ადაპტაციის საშუალებას იძლევა და სადოქტორო დონეზე აქტიურ მონაწილეობას უწყობს ხელს.

როგორც წარმოდგენილია „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, ფორმულირებისა და შემუშავების მეთოდოლოგიასა და მისი დამტკიცების პროცედურაში“, დაწესებულება იყენებს ინდივიდუალურ აკადემიურ მიდგომას ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და განხორციელების გზით დადგენილი პროცედურის შესაბამისად, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტების საგანმანათლებლო პროცესში ინკლუზიური მონაწილეობის უზრუნველყოფას. სწავლაზე თანაბარი წვდომისა და აკადემიური წარმატების მხარდაჭერის მიზნით ინდივიდუალური სასწავლო გეგმები შემუშავებულია სტუდენტების განსხვავებული აკადემიური განათლების, სასწავლო საჭიროებების და სპეციალური საგანმანათლებლო მოთხოვნების გათვალისწინებით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესი სტუდენტის მიერ არის ინიცირებული და მოითხოვს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენას, რომელიც ასაბუთებს ინდივიდუალური აკადემიური მიდგომის საჭიროებას. ეს დადასტურდა პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრების დროს, მაგრამ პროგრამის 3-წლიანი არსებობის განმავლობაში დღემდე ეს არ მომხდარა, არ ინიცირებულა ან განხორციელებულა, გარდა საჭიროებისამებრ დისტანციურად დამატებითი და საკონსულტაციო შეხვედრების იშვიათი შემთხვევებისა.

პროგრამა არ ითვალისწინებს საერთაშორისო სტუდენტების ჩარიცხვას და დისტანციური სწავლება მისი ფორმალური სტრუქტურის ნაწილი არ არის.

### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- o საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა
- o საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, ფორმულირებისა და შემუშავების მეთოდოლოგია და მისი დამტკიცების პროცედურა
- o პროგრამის ხელმძღვანელებთან და ხარისხის უზრუნველყოფის პერსონალთან გასაუბრებები
- o კურსის სასწავლო გეგმები (სილაბუსები)

### **რეკომენდაციები**

#### **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

### **შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია

### **2.4. სტუდენტების შეფასება**

#### **აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები**

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

#### **სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები**

- დოქტორანტების შეფასება ხდება უსდ - ში დადგენილი პროცედურების მიხედვით, რომელიც გამჭვირვალეა, სანდოა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება სასწავლო კომპონენტის შინაარსისა და სადოქტორო საფეხურის მოთხოვნების შესაბამისი მეთოდების გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტის ცოდნისა და უნარების, მათ შორის, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების, კვლევის მეთოდოლოგიის შერჩევისა და დამოუკიდებლად გამოყენების, აზრის არგუმენტირებულად გადმოცემისა და სხვა უნარების შეფასებას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს დისერტაციის/შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის, ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის დაცვაზე დოქტორანტის დაშვების წინაპირობებს, რომელიც ითვალისწინებს დოქტორანტის პროგრესის პერიოდულ განმავითარებელ შეფასებებს;
- დოქტორანტის მიერ დისერტაციის/შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარდგენამდე დოქტორანტს მოეთხოვება შესაბამის კვლევის სფეროში არანაკლებ ორი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება, მათ შორის ერთი სტატია გამოქვეყნებული უნდა იყოს უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში;
- სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ ხდება დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის თანმიმდევრულად შესრულების პროგრესის პერიოდული დაკვირვება,

- განმავითარებელი შეფასება და უკუკავშირის მიცემა;
- სადოქტორო ნაშრომის შესრულების აკადემიური სტილის მოთხოვნები, სადოქტორო ნაშრომის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, წინასწარ ცნობილია დოქტორანტებისათვის და გათვალისწინებულია დოქტორანტთა ნაშრომების შეფასებისას;
- სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასებისას უსდ იყენებს აკადემიური და კვლევის ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების მექანიზმებს;
- სადოქტორო ნაშრომების დაცვა ხდება უსდ-ში არსებული სადოქტორო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის პროცედურების მიხედვით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან;
- სადოქტორო ნაშრომის შეფასება ხდება კომისიური წესით - კომისიის/კომისიების მიერ;
- სადოქტორო ნაშრომის შეფასებისა ან/და დაცვის პროცედურები ითვალისწინებს სადისერტაციო ნაშრომზე შესაბამისი კომპეტენციის მქონე დაწესებულების (ადგილობრივი ან/და უცხოური უნივერსიტეტი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი), ადგილობრივი და საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნებს (საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნა სავალდებულო არ არის შემდეგი სწავლის სფეროებისთვის: ქართული ფილოლოგია, აფხაზური ფილოლოგია, ასევე, იმ შემთხვევაში, თუკი დოქტორანტს ჰყავს საერთაშორისო ხელმძღვანელი), რომელიც აფასებს სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო კვლევის/შემოქმედებითი ნაშრომის სიახლეს და მზაობას სადისერტაციო ნაშრომის დაცვისათვის;
- ადგილობრივი რეცენზენტი არის ადგილობრივი უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;
- საერთაშორისო რეცენზენტი არის უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;
- უნივერსიტეტის მიერ სადოქტორო ნაშრომის რეცენზენტების შერჩევისა და დანიშვნის მექანიზმები და პროცესები უნდა იყოს გამჭვირვალე, მიუკერძოებელი და ობიექტური. რეცენზენტების შერჩევისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი ანონიმურობა, რაც ხელს უწყობს მიუკერძოებელი, სამართლიანი და ობიექტური დასკვნის მომზადებას;
- დაცვის კომისიის/კომისიების შემადგენლობაში შედიან შესაბამისი სფეროს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლები, რომელთა კვალიფიკაცია და კომპეტენცია იძლევა ნაშრომის სიღრმისეულად და სრულყოფილად შეფასების და კვლევის/საშემსრულებლო კვლევის ორიგინალობისა და მისი შედეგების შეფასების შესაძლებლობას;
- დაცვის კომისიის/კომისიების შემადგენლობაში უზრუნველყოფილია გარე შემფასებლების მონაწილეობა. დაცვის კომისიის/კომისიების მუშაობაში არ მონაწილეობს დოქტორანტის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი;

- სფეროს თავისებურების გათვალისწინებით, დაცვის კომისიის/კომისიების შემადგენლობაში საჭიროების შემთხვევაში შედიან - შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის საერთაშორისო შემფასებელი/შემფასებლები, სამთავრობო/არასამთავრობო სექტორის, შრომის ბაზრის წარმომადგენელ(ებ)ი;
- სადოქტორო ნაშრომის დაცვა არის საჯარო და ღია; სადოქტორო ნაშრომის აბსტრაქტი/რეზიუმე ქართულ, ინგლისურ და პროგრამის განხორციელების ენებზე არის საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომი;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე უზრუნველყოფილია კანდიდატთა პროგრამაზე ჩარიცხვისა და დისერტაციის დაცვის პროცედურების გასაჩივრება. გასაჩივრების პროცედურები საჯაროა და უზრუნველყოფს ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას;
- უსდ - ს მიერ შემუშავებულია რეცენზენტის მოძიების, დანიშვნისა და მისი საქმიანობის მექანიზმები;
- მიმდინარე სადისერტაციო ნაშრომების თემატიკის შესახებ და დაცული დისერტაციების შესახებ ინფორმაცია უსდ - ს მიერ განთავსებულია ერთიან ელექტრონულ პორტალზე.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის სტუდენტები შეფასდებიან გამჭვირვალედ, სანდოდ და საქართველოს უმაღლესი განათლების კანონმდებლობისა და დადგენილი პროცედურების შესაბამისად. ეს მოიცავს კურსების განმავლობაში უწყვეტ შეფასებებს და კვლევით კომპონენტში პერიოდულ ფორმატიულ გადახედვებს (formative reviews).

სტუდენტების შეფასება ხორციელდება ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის (ECTS) და საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად. იგი დაფუძნებულია შუალედური და საბოლოო გამოცდების კომბინაციაზე გამჭვირვალე კრიტერიუმების გამოყენებით, რომლებიც განსაზღვრულია თითოეული კურსის სასწავლო გეგმაში და ცნობილი ხდება სემესტრის დაწყებამდე. უნივერსიტეტი იყენებს ელექტრონულ მართვის სისტემას მყისიერი უკუკავშირისა და StrikePlagiarism.com-ის მეშვეობით პლაგიატის შემოწმებას, რათა უზრუნველყოს კეთილსინდისიერება; გაყალბების პრევენციის, გამოვლენისა და მასზე რეაგირების წესები საჯაროდ ხელმისაწვდომია. სააპელაციო პროცედურები რეგულირდება და გამოცხადებულია, შედეგები კი დაუყოვნებლივ ხდება ცნობილი. ეს პროცედურები შეესაბამება საქართველოს უმაღლესი განათლების კანონმდებლობას, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას, სანდოობას და სამართლიანობას უნივერსიტეტის მიერ დადგენილი და წინასწარ საჯაროდ ხელმისაწვდომი წესების მეშვეობით.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ცალსახად ითვალისწინებს სააპელაციო მექანიზმებს დოქტორანტების ჩარიცხვისა და დისერტაციის დაცვის პროცედურების შეფასებისთვის. წესები ცხადდება ოფიციალური დოკუმენტების მეშვეობით, როგორცაა თვითშეფასების ანგარიში, სასწავლო გეგმები და ელექტრონული მონაცემთა ბაზა (student.sabauni.ge). ობიექტურობის უზრუნველსაყოფად შედეგები დაუყოვნებლივ ცხადდება.

ეს სისტემა უზრუნველყოფს ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესს, რასაც ადასტურებს დამხმარე დოკუმენტები, როგორცაა „შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურა“ და „საგანმანათლებლო პროცესის რეგულირება“.

დოქტორანტები შეფასდებიან დადგენილი, გამჭვირვალე პროცედურების შესაბამისად, რომლებიც კანონით არის დაცული. სასწავლო კომპონენტი ფასდება შესაბამისი მეთოდოლოგიით, რომლებიც ამოწმებს ცოდნას, ანალიტიკურ აზროვნებას, მეთოდების გამოყენებას და საკუთარი აზრის გამოთქმას. პროგრამა მოითხოვს სამ კოლოქვიუმს, როგორც ფორმატიული პროგრესის შემოწმებას დისერტაციის წინ, ასევე მინიმუმ სამი სტატიის გამოქვეყნებას, მათ შორის საერთაშორისო კონფერენციებზე. დაცვაზე დაშვება მოითხოვს კოლოქვიუმების შედეგების დადებით შეფასებებს და ხელმძღვანელის მიერ პერიოდული პროგრესის მონიტორინგს.

ხელმძღვანელი პერიოდულად აკონტროლებს კვლევის პროგრესს, უზრუნველყოფს ფორმატიულ უკუკავშირს და დოკუმენტურად ამოწმებს სავალდებულო კონსულტაციებს, რომლებსაც სამაგისტრო სკოლა აკონტროლებს. ხელმძღვანელისა და დოქტორანტის თანაფარდობა უდრის მაქსიმუმ 1:3 (აქტიური თანამშრომლები) ინტენსიური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. სადოქტორო პროგრამის წესები წინასწარ განსაზღვრავს დისერტაციის აკადემიურ სტანდარტებს, მეთოდებსა და კრიტერიუმებს, რომლებიც მორგებულია დისციპლინის სპეციფიკაზე. კვლევითი წილის შეფასებისას გამოიყენება აკადემიური ეთიკა, კეთილსინდისიერება და პლაგიატის მექანიზმები.

დისერტაცია განიხილება რეცენზირებისა და კოლოქვიუმების მეშვეობით მისი ვადის გასვლამდე; საჭიროა მინიმუმ ორი პუბლიკაცია, ერთი საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალში უნდა იქნას გამოქვეყნებული. დაცვა საუნივერსიტეტო პროცედურებით ხდება: საჯაროდ, გარე ექსპერტებისგან შემდგარი (თუნდაც ერთი წევრი სხვა დაწესებულებიდან) კომისიის მიერ. ადგილობრივი რეცენზენტი (ადგილობრივი აკადემიური პირი, რომელსაც აქვს მიმდინარე პუბლიკაცია საერთაშორისო ინდექსში) და, სურვილისამებრ, საერთაშორისო რეცენზენტი ანონიმურად და ობიექტურად, აფასებენ სამეცნიერო სიახლეს და დაცვისთვის მზადყოფნას. კომისია შედგება ექსპერტების წარმომადგენლებისგან, გარე შემფასებლებისგან (არა ხელმძღვანელისგან); საჭიროების შემთხვევაში, საერთაშორისო ან პრაქტიკოსი წევრებისგან.

რეცენზენტები შეირჩევიან გამჭვირვალედ და ანონიმურად; მიმდინარე და დაცული დისერტაციების თემები ქვეყნდება ერთიან პორტალზე. დისერტაციის რეზიუმე საჯაროდ ხელმისაწვდომია ქართულ, ინგლისურ და სწავლების ენაზე. მიღების ან დაცვის შესახებ გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლებები საჯაროდ რეგულირდება და უზრუნველყოფს სამართლიან სასამართლო პროცესს. ხარისხის უზრუნველყოფა მოიცავს დაინტერესებული მხარეების სემესტრულ გამოკითხვებს უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- o თვითშეფასების ანგარიში;
- o სასწავლო პროგრამების აღწერილობები;

- o სასწავლო პროგრამების სილაბუსები;
- o ელექტრონული მონაცემთა ბაზა (student.sabauni.edu.ge);
- o შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურა;
- o საგანმანათლებლო პროცესის რეგულირება;
- o ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.4 სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია

**3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; დოქტორანტებისათვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

**3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები**

**აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები**

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

**სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები**

- უსდ სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით თანამშრომლობს ადგილობრივ და უცხოურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან/ცენტრებთან /უსდ - ებთან, სადოქტორო სკოლებთან, ასევე, საჯარო და კერძო სექტორთან/ინდუსტრიასთან და სხვა პოტენციურ დამსაქმებელთან სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის განხორციელებისა და კურსდამთავრებულთა სამუშაო ბაზარზე ინტეგრირებისა და კარიერული წინსვლის მიზნით;
- უსდ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ქმნის სათანადო პირობებს და გარემოს საერთაშორისო მობილობის წახალისებისათვის და/ან საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში და სხვა სამეცნიერო/შემოქმედებით აქტივობებში მონაწილეობისათვის, რაც მიზნად ისახავს ძლიერი და ინკლუზიური კვლევითი გარემოს განვითარებას და ხელს უწყობს კვლევის საუკეთესო პრაქტიკის ჩამოყალიბებას, კვლევის ინტერნაციონალიზაციას და ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელებას.
- უსდ დოქტორანტებს საჭიროების შემთხვევაში სთავაზობს მხარდაჭერის დამატებით მექანიზმებს კურიკულუმის მიღმა ღონისძიებებისა და აქტივობის სახით, რომელიც მიმართულია დოქტორანტის პიროვნული, პროფესიული და კარიერული განვითარებისკენ;
- უსდ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული აქვს

დოქტორანტების მხარდამჭერი ღონისძიებები, რომელიც საშუალებას აძლევს დოქტორანტს დაასრულოს სადოქტორო ნაშრომი კანონმდებლობით დადგენილ ვადაში;

- უსდ დოქტორანტს საორიენტაციოდ აწვდის ინფორმაციას საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნებისათვის სფეროს სპეციფიკის შესაბამის საერთაშორისო ინდექსის მქონე სამეცნიერო გამოცემების/ბაზების შესახებ. სახელოვნებო სფეროში ასევე, სახელოვნებო-შემოქმედებით ღონისძიებების (კონცერტი, ფესტივალი, კონკურსი, მასტერ-კლასი, გამოფენა, ბიენალე და სხვა) თაობაზე;
- უსდ პერიოდულობით ახდენს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების მაჩვენებლების ანალიზს, რომლის შედეგებიც მიმართულია პროგრამის, რესურსებისა და დოქტორანტთა მხარდამჭერი მექანიზმების განვითარებისაკენ;
- უსდ უზრუნველყოფს დოქტორანტების ინფორმირებას მხარდამჭერი სერვისების შესახებ.

### **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტებს სთავაზობს ყოვლისმომცველ კონსულტაციასა და მხარდაჭერას, რაც მიზნად ისახავს სასწავლო პროცესის დაგეგმვას, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას და კარიერულ განვითარებას. ამ მომსახურებას უზრუნველყოფენ სპეციალიზებული სტრუქტურული ერთეულები, როგორცაა სტუდენტური საქმეთა სამსახური და სადოქტორო სკოლა, რომლებიც უზრუნველყოფენ ინდივიდუალურ და ჯგუფურ კონსულტაციას და სტუდენტების შრომის ბაზარზე ინტეგრირებას.

სტუდენტური საქმეთა ოფისი კოორდინაციას უწევს კარიერულ კონსულტაციას, სტაჟირებას და დასაქმებას სამთავრობო, კერძო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. იგი აწყობს დასაქმების ფორუმებს, პრაქტიკულ ტრენინგებს რეზიუმეს შექმნაზე, გასაუბრებებსა და დროის მენეჯმენტზე, ასევე ყოველწლიურ საჭიროებების შეფასებას, რათა შეთავაზებები ამ საჭიროებებზე იყოს მორგებული. იგი ასევე მხარს უჭერს სტუდენტურ ინიციატივებს გრანტების პროგრამებისა და კლუბების მეშვეობით, რომლებიც ლიდერობისა და გუნდური მუშაობის უნარებს ავითარებენ.

სადოქტორო პროგრამა და პროგრამის კოორდინატორი მუდმივად აწვდიან დოქტორანტებს ინფორმაციას კრედიტების დაგროვების, შეფასების კრიტერიუმების, არჩევითი საგნების და აკადემიური მუშაობის პროგრესის შესახებ. აკადემიური ხელმძღვანელი უზრუნველყოფს სავალდებულო სამუშაო საათებს, ხელმძღვანელობას უწევს დისერტაციაზე მუშაობას და მხარს უჭერს პუბლიკაციებსა და კონფერენციებში მონაწილეობას, ხელმძღვანელისა და დოქტორანტის მაქსიმალური თანაფარდობით 1:3.

დისციპლინის სპეციფიკის გათვალისწინებით, უნივერსიტეტი თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო კვლევით ინსტიტუტებთან, უნივერსიტეტებთან და დამსაქმებლებთან სამეცნიერო კომპონენტის გასაძლიერებლად და კურსდამთავრებულების შრომის ბაზარზე ინტეგრირების მიზნით. ეს მოიცავს სტაჟირებას, კვლევით მისიებს და დარგობრივ თანამშრომლობას, რაც ხელს უწყობს კარიერულ წინსვლას. საერთაშორისო დეპარტამენტი ორგანიზებას უწევს მობილობის პროგრამებს, როგორცაა Erasmus+ და სტიპენდიები (მაგ. DAAD, Visegrad), კონკრეტული მაგალითებით, როგორცაა გაცვლითი პროგრამები სარაგოსას უნივერსიტეტთან.

უნივერსიტეტი ქმნის პირობებს საერთაშორისო მობილობისთვის Erasmus KA171-ის, ზაფხულის სკოლების, კონფერენციებისა და სასწავლო ვიზიტების მეშვეობით, მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. დამატებითი ღონისძიებები, როგორცაა საგრანტო კონკურსები, უნივერსიადები და სტუდენტური ფესტივალები (StudFests), ხელს უწყობს პიროვნულ, პროფესიულ და კარიერულ განვითარებას. დოქტორანტები იღებენ ინფორმაციას საერთაშორისო ინდექსების მქონე პუბლიკაციების მონაცემთა ბაზების შესახებ, რომლებიც შესაფერისია საჯარო მმართველობის სფეროსთვის.

დამხმარე ზომები, როგორცაა კოლოქვიუმები, ხელმძღვანელის უკუკავშირი და მოქნილი არჩევითი საგნების რეგულაციები, კანონით დადგენილ ვადებში დისერტაციის დასრულების საშუალებას იძლევა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება პერიოდულად აანალიზებს კურსდამთავრებულთა კარიერულ ინდიკატორებს (მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს გამოკითხვებისა და ბაზრის კვლევის გზით კურსდამთავრებულთა ჯგუფის შემადგენლობის განახლებული მონაცემები) და ახდენს პროგრამის რესურსების კორექტირებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- o თვითშეფასების ანგარიში;
- o იპერსონალის სამუშაო დატვირთვა, ფუნქციები, პასუხისმგებლობები და სამუშაოს აღწერილობები;
- o სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისების განმახორციელებელი პირების სია;
- o ინფორმაცია სტუდენტების სხვადასხვა პროექტებსა და აქტივობებში ჩართულობის შესახებ;
- o ინფორმაცია სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესახებ;
- o ვებსაიტები; (<https://www.sabauni.edu.ge/>; [student.sabauni.edu.ge](https://student.sabauni.edu.ge/))
- o ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
3.1 სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია

**3.2 დოქტრანტთა ხელმძღვანელობა**

**აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები**

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს დოქტორანტებს.
- სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

**სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები**

- ხელმძღვანელი კოორდინაციას უწევს დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულებას;
- უსდ-ს შემუშავებული აქვს დოქტორანტის ხელმძღვანელის /თანახელმძღვანელის დანიშვნის, შეცვლის, ხელმძღვანელობის /თანახელმძღვანელობის განხორციელების მარეგულირებელი დოკუმენტები;
- უსდ - ს შემუშავებული აქვს დოქტორანტს, მის ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს და უსდ-ს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების/შეთანხმების ფორმა, რომელშიც განსაზღვრულია ყველა მხარის უფლება-მოვალეობები; დოქტორანტის ხელმძღვანელობა გათვალისწინებულია შესაბამისი აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის საერთო საუნივერსიტეტო დატვირთვის სქემაში;
- ხელშეკრულების/შეთანხმების პირობები ხელს უწყობს ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მიერ საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და დოქტორანტის მიერ ნაშრომის დადგენილ ვადაში დასრულებას;
- კვლევით პროცესში ხელმძღვანელს რეგულარული კონსულტაციები აქვს დოქტორანტებთან კვლევის/შემოქმედებითი კვლევის მეთოდოლოგიურ, სტრუქტურულ, კონცეპტუალურ და სხვა საკითხებზე. კონსულტაციების სიხშირე შეესაბამება საკვლევი თემის სპეციფიკას და დოქტორანტის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ხელმძღვანელი კონსულტირებას უწევს დოქტორანტს კვლევით პროცესში შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: კვლევის დიზაინი და პროექტის მენეჯმენტი, კვლევის მეთოდოლოგია, პროფესიული განვითარება, თეზისის/სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/დისერტაციის წერის პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/შემოქმედებით ქსელში ინტეგრირების პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/შემოქმედებით ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესი, სამეცნიერო სტატიების საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნება და სხვა;
- თანახელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მხარდაჭერას უწევს დოქტორანტს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების პროცესში ხელმძღვანელთან და დოქტორანტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
- კვლევის სპეციფიკის და საჭიროების გათვალისწინებით, უსდ ხელს უწყობს დოქტორანტის კვლევის/შემოქმედებითი კვლევის პროცესში უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო - კვლევითი დაწესებულების/ცენტრის პერსონალის, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირის, მათ შორის უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის ჩართულობას ხელმძღვანელის /თანახელმძღვანელის სტატუსით;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობის დაგეგმვისას, უსდ ითვალისწინებს ხელმძღვანელების დატვირთვას, დოქტორანტთა არსებულ და მისაღებ კონტინგენტს, პროგრამის სპეციფიკასა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას;
- უსდ შემუშავებული აქვს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელისა და დოქტორანტთა რაოდენობის თანაფარდობის მეთოდოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის ეფექტურად განხორციელებას;
- უსდ - ს მიერ განსაზღვრული თანაფარდობა ხელმძღვანელსა და მისი აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტებს შორის არ აღემატება - 1:3-ს, ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში. ხელმძღვანელსა და მისი აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტებს შორის 1:5 თანაფარდობა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სტატუსშეჩერებული დოქტორანტი მოითხოვს სტატუსის აღდგენას აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარსადგენი დისერტაციის/შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნაშრომის წარდგენის მიზნით. აღნიშნული თანაფარდობა შესაძლებელია განსხვავებულად დადგინდეს სამეცნიერო გრანტის/პროექტის პირობებიდან გამომდინარე;
- უსდ-ს შემუშავებული აქვს სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საქმიანობის შეფასების მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის განხორციელებას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი უზრუნველყოფს დოქტორანტების ყოვლისმომცველ ზედამხედველობას კვალიფიციური სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ, რომელიც ხელს უწყობს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით დასრულებას. ხელმძღვანელისა და აქტიური დოქტორანტების თანაფარდობა მაქსიმუმ 1:3-ია და იზრდება 1:5-მდე, როდესაც სტატუსშეჩერებული სტუდენტების სტატუსის აღდგენა ხდება თავიანთი ნაშრომის წარსადგენად. ეს კი ეფექტური ზედამხედველობის საშუალებას იძლევა.

სამეცნიერო ხელმძღვანელები უზრუნველყოფენ დოქტორანტების სამეცნიერო-კვლევით მხარდაჭერას. სადოქტორო პროგრამებში ხელმძღვანელისა და სტუდენტის თანაფარდობა საშუალებას იძლევა, ზედამხედველობა სათანადოდ განხორციელდეს, როგორც ეს გათვალისწინებულია სადოქტორო პროგრამის დებულებით. უნივერსიტეტმა შეიმუშავა დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებს ხელმძღვანელის დანიშვნას, შეცვლას და ხელმძღვანელობას ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელების მიერ.

ხელმძღვანელი კოორდინაციას უწევს დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევით ნაწილს და ატარებს რეგულარულ კონსულტაციებს მეთოდოლოგიაზე, სტრუქტურაზე, კონცეფციაზე და ისეთ თემებზე, როგორცაა კვლევის დიზაინი, პროექტის მენეჯმენტი, პროფესიული განვითარება, პუბლიკაციები და ქსელური ინტეგრაცია. არსებობს ხელშეკრულების შაბლონი დოქტორანტს, ხელმძღვანელსა და უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებელს შორის, რომელიც განსაზღვრავს მხარეების უფლებებსა და ვალდებულებებს და ხელს უწყობს დროულ შესრულებას; სამეცნიერო ხელმძღვანელთან მუშაობა ინტეგრირებულია პერსონალის საერთო სამუშაო დატვირთვაში. თანახელმძღვანელები ურთიერთშეთანხმებით უჭერენ მხარს კვლევის პროცესს, ხოლო უნივერსიტეტი აფინანსებს უცხოელ ან დამსახურებულ ხელმძღვანელებს.

მდგრადობისთვის, უმაღლესი სასწავლებელი გეგმავს ხელმძღვანელების რაოდენობას, სასწავლო დატვირთვის, არსებული და მომავალი დოქტორანტების და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით; თანაფარდობის მეთოდოლოგია (მაქს. 1:3) უზრუნველყოფს ეფექტურ განხორციელებას. ხელმძღვანელის საქმიანობის შეფასების მექანიზმები, მათ შორის ხარისხის მართვის ოფისის მიერ ჩატარებული გამოკითხვები და ხარისხის კონტროლი, უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და გაუმჯობესებას. სამეცნიერო ხელმძღვანელებს აქვთ შესაბამისი პუბლიკაციები და გამოცდილება, ხშირად საერთაშორისო თანამშრომლობით.

<b>დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები</b>	
სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	<b>22</b>
დოქტორანტების რაოდენობა	<b>12</b>
თანაფარდობა - ნაშრომების ხელმძღვანელები /დოქტორანტები	<b>22/12</b>

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- o თვითშეფასების ანგარიში;
- o დოქტორანტების ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- o სადოქტორო პროგრამის დაგეგმვის, დასრულებისა და შეფასების პროცედურა;
- o პლაგიატის შემოწმების პროცედურის შესახებ დებულება;
- o ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**შეფასება**

კომპონენტი	შეფასება
3.2_დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	შესაბამისობაშია

**4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

**4.1 ადამიანური რესურსი**

**აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები**

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
